პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი, 10 მაისი, 1944 წ. № 95 (7039). ფასი 20 კაპ.

უკრაინის მე-4 ფრონტის ჯარებმა, ავიაციისა და არტილერიის მასირებული დარტყმების დახმარებით სამი დღის შეტევითი ბრძოლების შედეგად გაარღვიეს გერმანელთა ძლიერ გამაგრებული ხანგრძლივი თავდაცვა, რომელიც შესდგებოდა რკინაბეტონის თავდაცვით ნაგებობათა სამი ზოლისაგან, და რამდენიმე საათის წინათ იერიშით დაიკავეს ციხე-სიმაგრე და უმნიშვნელოვანესი სამხედრო-საზღვაო ბაზა შავ ზღვაზე — ქალაქი სევასტოპოლი.

სახელი და დიდება ჩვენს მშობლიურ გმირ წითელ არმიას!

ბრძანება
უმაღლესი მთავარსარდლისა
საბჭოთა კავშირის მარშალ ვასილევსკის
არმიის გენერალ ეროხინის

უკრაინის მე-4 ფრონტის ჯარებმა, ავიაციისა და არტილერიის მასირებული დარტყმების დახმარებით, სამი დღის შეტევითი ბრძოლების შედეგად გაარღვიეს გერმანელთა ძლიერ გამაგრებული ხანგრძლივი თავდაცვა, რომელიც შესდგებოდა რკინაბეტონის თავდაცვით ნაგებობათა სამი ზოლისაგან, და რამდენიმე საათის წინათ იერიშით დაიკავეს ციხე-სიმაგრე და უმნიშვნელოვანესი -სამხედრო-საზღვაო ბაზა შავ ზღვაზე — ქალაქი **სევასტოპოლი.**

ამით ლიკვიდირებულია გერმანელთა წინააღმდეგობის უკანასკნელი კერა **უკრაინაში,** და **უკრაინი** სავსებით გაწმენდილია გერმანელ ფაშისტ დამპყრობთაგან.

სევასტოპოლისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-ლეიტენანტ **ზახაროვის,** გენერალ-ლეიტენანტ **კრეიზერის,** გენერალ-ლეიტენანტ **მელნიკის,** გენერალ-ლეიტენანტ **ჩანჩიბაძის,** გენერალ-ლეიტენანტ **კოლლომიეცის,** გენერალ-მაიორ **ლოვიაგინის,** გენერალ-ლეიტენანტ **მისანის,** გენერალ-მაიორ **ნევეროვის,** გენერალ-მაიორ **კოშევოის,** გენერალ-მაიორ **პროვალოვის,** გენერალ-მაიორ **ლუჩინსკის,** გენერალ-მაიორ **როჟდესტვენსკის** ჯარებმა; არტილერიის გენერალ-პოლკოვნიკ **კრასნოპევცევის,** არტილერიის გენერალ-მაიორ **სტრელბიცკის,** არტილერიის გენერალ-მაიორ **ტელეგინის,** არტილერიის გენერალ-მაიორ **სოკოლსკის,** არტილერიის გენერალ-მაიორ **ტვერეცკის,** პოლკოვნიკ **კოგზევის,** პოლკოვნიკ **ფროლოვის** არტილერისტებმა, პოლკოვნიკ **პოცელუევის,** პოლკოვნიკ **ბარაბაშის,** პოლკოვნიკ **ჟიდკოვის** ტანკისტებმა; ავიაციის მარშალ **გოლოვანოვის,** ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ **ხრიუკინის,** ავიაციის გენერალ-მაიორ **სავიცკის,** ავიაციის გენერალ-მაიორ **ფილინის,** ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ **ერმაჩენკოვის,** ავიაციის გენერალ-მაიორ **ფედოროვის,** ავიაციის გენერალ-მაიორ **რუბანოვის,** ავიაციის გენერალ-მაიორ **კუზნეცოვის,** ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ **ტუპიკოვის,** ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ **ლოგინოვის,** ავიაციის გენერალ-მაიორ **ვოლკოვის,** ავიაციის გენერალ-მაიორ **სჩეტჩიკოვის,** პოლკოვნიკ **პრუტკოვის,** პოლკოვნიკ **გეტმანის,** პოლკოვნიკ **ჩუჩევის,** პოლკოვნიკ **გვიგოს,** პოლკოვნიკ **ვოლკოვის,** პოდპოლკოვნიკ **კონარევის,** პოლკოვნიკ **კორეზუნოვის,** პოდპოლკოვნიკ **მანეშოსოვის,** პოდპოლკოვნიკ **როჟდესტვენსკის,** პოდპოლკოვნიკ **ლიუბიმოვის** მფრინავებმა; ადმირალ **ოტიაბრსკის,** კონტრადმირალ **გოლტუნოვის,** 1-ლი რანგის კაპიტან **ფილიპოვის,** 1-ლი რანგის კაპიტან **სოლოვიოვის,** მე-2 რანგის კაპიტან **პროცენკოს,** მე-2 რანგის კაპიტან **დიაჩენკოს** მეზღვაურებმა; საინჟინრო ჯარების გენერალ-მაიორ **კოლესნიკოვის,** პოლკოვნიკ **პავლოვის,** პოლკოვნიკ **კორიაკინის** მესანგრეებმა და კავშირგაბმულობის ჯარების გენერალ-ლეიტენანტ **კოროლიოვის** მეკავშირეებმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად ის შენაერთები და ნაწილები, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი **სევასტოპოლის** განთავისუფლებისათვის ბრძოლებში, წარდგენილ იქნან **„სევასტოპოლის“** სახელწოდების მისანიჭებლად და ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 10 მაისს, 1-ლ საათზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი **მოსკოვი** სამშობლოს სახელით სამას ოცდაოთხი ქვემეხის ოცდაოთხი საარტილერიო ზალპით სალუტს აძლევს უკრაინის მე-4 ფრონტის მამაც ჯარებს, რომლებმაც დაიკავეს ქალაქი **სევასტოპოლი.**

ჩინებული საბრძოლო მოქმედებისათვის **მადლობას ვუცხადებ** თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ყველა ჯარს, რომლებიც მონაწილეობდნენ **სევასტოპოლის** განთავისუფლებისათვის ბრძოლებში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომელნიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1944 წლის 10 მაისი.

ამხ. ვ. მ. მოლოტოვმა მიიღო ურუგვაის დესპანი ბ-ნი ე. ფრუგონი

9 მაისს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ამხ. ვ. მ. მოლოტოვმა მიიღო ურუგვაის საგანგებო დესპანი და სრულუფლებიანი მინისტრი სსრ კავშირში ბ-ნი ე. ფრუგონი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარისათვის მის მიერ თავისი რწმუნების სიგელების მომავალ გადაცემასთან დაკავშირებით.

საქართველოში სესხი გავრცელებულია 675.757.000 მანეთის რაოდენობით

9 მაისს საღამოსათვის შეჯამებული ცნობების მიხედვით საქართველოს სს რესპუბლიკაში მესამე სახელმწიფო სამხედრო სესხი გავრცელებული იყო 675.757.000 მანეთის რაოდენობით, რაც გასავრცელებლად ნავარაუდევი თანხის 124 პროცენტს უდრის. შარშან შესაბამის პერიოდში გავრცელებული სესხის თანხა უდრიდა 436.155.000 მანეთს.

წელს ქალაქის მოსახლეობაში გავრცელებული სესხის თანხა შეადგენს 244.405.000 მანეთს, სოფლის მოსახლეობაში — 349.253.000 მანეთს, ანუ გასავრცელებლად გათვალისწინებული თანხის 140 პროცენტს, კოლმეურნეობებსა და სარეწაო არტელებში — 82.099.000 მანეთს.

ხელმოწერის საერთო თანხიდან ნაღდად შეტანილია 348.009.000 მანეთი. სოფლად შეტანილი თანხა უდრის 303.771.000 მანეთს, რაც სესხზე ხელმოწერის საერთო თანხის 87 პროცენტს შეადგენს.

კოლმეურნე პეტრე გურულმა 450.000 მანეთის ობლიგაციები შეიძინა
(ტელეფონით)

ზესტაფონის რაიონულ შემნახველ სალაროში გამოცხადდა სოფელ ქვედა-საქარის წულუკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი პეტრე ასლანის-ძე გურული, რომელმაც ნაღდად შეიძინა მესამე სახელმწიფო სამხედრო სესხის 250.000 მანეთის ობლიგაციები. ორი დღის წინათ ამხ. პ. გურულმა აგრეთვე ნაღდად შეიძინა 200.000 მანეთის ობლიგაციები. ამგვარად, ამხ. პეტრე გურულმა ახალი სესხი გაავრცელა 450.000 მანეთის რაოდენობით და მთელი ეს თანხა ნაღდად შეიტანა.

ობლიგაციების შეძენისას მან განაცხადა, რომ ყოველთვის დაეხმარება წითელ არმიას საძულველი მტრის უსწრაფეს განადგურებაში და ამ მიზნისათვის არასოდეს არ დაიშურებს საკუთარ შრომითს დანაზოგს.

ბოლშევიკური პრესის დღე
პრესის მუშაკთა მოსკოვის საერთო-საქალაქო კრება კავშირთა სახლის სვეტებიან დარბაზში

გუშინ, 8 მაისს, კავშირთა სახლის სვეტებიან დარბაზში შესდგა გაზეთების, ჟურნალების, გამომცემლობათა მუშაკებისა და მუშაკორთა აქტივის მოსკოვის საერთო-საქალაქო კრება, მიძღვნილი ბოლშევიკური პრესის დღისადმი. კრებაზე მონაწილეობდა საფრონტო გაზეთების მრავალი მუშაკი. ბევრი მათგანი დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით იმ გმირობისა და მამაცობისათვის, რაც მათ გამოიჩინეს გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლებში.

მოხსენებით საბჭოთა პრესის მორიგი ამოცანების შესახებ გამოვიდა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის სამმართველოს უფროსი ამხ. გ. ფ. ალექსანდროვი.

პრესის მუშაკთა საერთო-საქალაქო კრების მონაწილეებმა უდიდესი აღფრთოვანებით მიიღეს მისალმება ამხანაგ სტალინისადმი.

(საკდესი).

შვედური გაზეთი ამხანაგ სტალინის სიტყვათა კრებულის შესახებ

სტოკჰოლმი, 9 მაისი (საკდესი). გაზეთი „აფტონტიდნინგენის“ მთავარი რედაქტორის მოადგილე იოდალი რეცენზიას უკეთებს ამხანაგ სტალინის სიტყვათა კრებულებს, რომლებიც წელს შვეიცარიაში გამოიცა: იოდალი სწერს: არავის აღარ შეაქვს ეჭვი იმაში, რომ გერმანია იკარგებს ომს. „სსრ კავშირი ომს იგებს. ეს სულ უფრო და უფრო ცხადი ხდება ფართო მასებისათვის. ამის ერთ-ერთი დამამტკიცებელი ფაქტი ის არის, რომ წიგნის მაღაზიების თაროებზე ჩნდება სტალინის სიტყვათა კრებულები“.

„თუ წავიკითხავთ სტალინის სიტყვებს, — განაგრძობს იოდალი, — მივიღებთ ოქტომბრის რევოლუციიდან ახლანდელ ომამდე სსრ კავშირის განვითარების ნათელ სურათს. ეს სიტყვები ჩვეულებრივ უაღრესად ობიექტურია. ისინი შეიცავენ სარეკორდო დროის განმავლობაში საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაციის ისტორიას. ისინი წარმოადგენენ სსრ კავშირის ნაციონალური პოლიტიკის — იმ შესანიშნავი ცენტრის ჭეშმარიტ საუკეთესო წყაროს, რომელმაც მეზიდროდ დარაზმა სხვადასხვა რასისა და ენის ათობით ხალხი. დასასრულ სტალინი თავის სიტყვებში გადაძლევს „იდუმალი“ საბჭოთა საგარეო პოლიტიკის გასაღებს. სტალინმა თავისი პიროვნების მტკიცე დაღი დაჩნია საბჭოთა პოლიტიკას ამ ორი უკანასკნელი ათეული წლის განმავლობაში. მისი პიროვნების თავისებურებანი ნათლად მოსჩანან მის სიტყვებში. იგი თაყვანსა სცემს არა ენებებს, არამედ გონებას და სადად ლაპარაკობს, ზოგჯერ კი პედაგოგიურიც ელფერით. სტალინი ემყარება ადამიანებს, რომელნიც თავიანთ კეპუკობაში ჩამორჩენილი აგრარული ხალხისათვის ტიპიურ ცხოვრებას ეწეოდნენ, მაგრამ რომელნიც დავაქაცდნენ და ისწავლეს, თუ როგორ გაართვან თავი დიდ თანამედროვე მრეწველობას და მსოფლიოს ყველაზე მექანიზებულ სოფლის მეურნეობას. მომავალი დაგვანახვებს რუსეთში სტალინური პერიოდის ჭეშმარიტ მნიშვნელობას.“

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან
9 მაისის ოპერაციული ცნობა

9 მაისს განმავლობაში **უკრაინის** მე-4 ფრონტის ჯარები ავიაციისა და არტილერიის მასირებული დარტყმების დახმარებით განაგრძობდნენ შეტევითს ბრძოლებს გერმანელ ფაშისტთა ჯარების წინააღმდეგ **სევასტოპოლის** რაიონში.

ჩვენმა ჯარებმა გასტეხეს მტრის შეუპოვარი წინააღმდეგობა და ღამით რამდენიმე საათის წინათ იერიშით დაიკავეს ციხე-სიმაგრე და უმნიშვნელოვანესი სამხედრო-საზღვაო ბაზა შავ ზღვაზე — ქალაქი **სევასტოპოლი.**

ამით ლიკვიდირებულია გერმანელთა წინააღმდეგობის უკანასკნელი კერა **უკრაინაში,** და **უკრაინი** სავსებით გაწმენდილია გერმანელ ფაშისტ დამპყრობთაგან.

ფრონტის სხვა უბნებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

8 მაისის განმავლობაში საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით მოსპობილია მოწინააღმდეგის 48 თვითმფრინავი.

* * *

ჩვენი ავიაცია და ტორპედიანი კატერები ურტყამენ მოწინააღმდეგის გემებს სევასტოპოლის რაიონში.

8 მაისს ღამით ჩვენი ავიაციის დიდი ძალები ურტყამდნენ მოწინააღმდეგის გემებს სევასტოპოლის რაიონში. დაბომბილ იქნა მოწინააღმდეგის ტრანსპორტები და სხვა მცურავი საშუალებანი, რომლებიც იმყოფებოდნენ კაჩაჩის, სტრელეცკაიას და კაბარდინკის ბუხტებში. დაბომბვის შედეგად გაჩნდა 30-ზე მეტი ხანძარი, იწვოდა ტრანსპორტები, ნავმისაბმელები და სამხედრო საწყობები. ალმოდებული რამდენიმე გემი აფეთქდა. დიდი ძალის აფეთქებანი მოხდა აგრეთვე ნავმისაბმელებზე და საწყობების რაიონში.

გაშლილ ზღვაში ჩვენმა ტორპედიანმა კატერებმა ჩასძირეს მოწინააღმდეგის 2 ტრანსპორტი 7 ათასი ტონა საერთო წყალწყვილისა.

* * *

ჩვენმა ავიაციამ დაბომბა რკინიგზის კვანძი ტაპა

8 მაისს ღამით ჩვენმა შორი მოქმედების ავიაციამ რკინიგზის კვანძზე ტაპაში (ესტონეთი) დაბომბა მოწინააღმდეგის თავმოყრილი სამხედრო ეშელონები. დაბომბვის შედეგად ოთხი ძლიერი აფეთქება მოხდა. გაჩნდა ხანძრები, რაც რკინიგზის კვანძის მნიშვნელოვან ნაწილს მოედო. იწვოდა მოწინააღმდეგის სამხედრო ქონებითა და ტექნიკით დატვირთული ვაგონები და პლატფორმები.

* * *

ჩვენი ავიაცია თავს დაესხა ფინეთის ნავსადგურ კოტკას

8 მაისს წითელდროშოვანი ბალტიის ფლოტის ავიაცია თავს დაესხა ფინეთის ნავსადგურ კოტკას და დაბომბა მოწინააღმდეგის გემები. დაბომბვის შედეგად ჩაძირულია 2 ათასი ტონა წყალწყვილ ტრანსპორტი და 3 საზღვაო კატერი. დაზიანებულია ნავსადგურში მდგარი მეორე ტრანსპორტი და ნავმისაბმელები. გარდა ამისა, ფინეთის ყურეში ბომბების პირდაპირი მოხვედრებით ჩაძირულია მოწინააღმდეგის ტრალერი და საგუშაგო ხომალდი.

* * *

უკრაინის მე-4 ფრონტის ჯარებმა იერიშით დაიკავეს ციხე-სიმაგრე და უმნიშვნელოვანესი სამხედრო-საზღვაო ბაზა შავ ზღვაზე — ქალაქი სევასტოპოლი. დამით ვგარდიის 6 შენაერთის ნაწილებმა შეუპოვარი ბრძოლების მსვლელობაში გასტეხეს მტრის წინააღმდეგობა და მთლიანად გასწმინდეს გერმანელებისაგან სევერნაია ბუხტას ჩრდილოეთი სანაპირო. საბჭოთა არტილერისტებმა სანაპიროზე წასწიეს 60-მდე ქვემეხი და პირდაპირი დამიზნებით მოსპეს მტრის გემები, რომლებიც სევერნაია და იუჟნაია ბუხტებში იდგნენ. ამასობაში ჩვენმა ჯარებმა მძლავრად დაარტყეს მოწინააღმდეგს. საბჭოთა ქვეითებმა და ტანკისტებმა ავიაციისა და არტილერიის მასირებული დარტყმების დახმარებით იერიში მიიტანეს სევასტოპოლის შიდა რკალზე — გერმანელთა უკანასკნელ რკინაბეტონის თავდაცვითს ზღუდეზე. სევასტოპოლის ახლო მისადგომებთან. ეს ზღუდე შესდგებოდა ხანგრძლივი რკინაბეტონის ნაგებობებისაგან, დიდძალი ძელმწერი საცეცხლე წერტილებისაგან, ბლინდაჟებისაგან, ტანკსაწინააღმდეგო თხრილებისაგან, დანაღმული ველებისა და მავთულხლართებისაგან. საბჭოთა ნაწილებმა დაამარცხეს გერმანელ ფაშისტთა ჯარები, რომელნიც შიდარკალს იცავდნენ და დაიკავეს მალახოვ კურგანი, სლობოდა კორაბელნაია, სლობოდა რეფოლფოვა და ქალაქის ცენტრში შეიჭრნენ. სევასტოპოლის სამხრეთით 6 შენაერთის შებრძოლებმა დაიკავეს ხუტორი ოტრადნი, დაბა შესტაია ვერსტა, ჯანშიევი. გაფანტრებულ ბრძოლებში ჩვენმა ჯარებმა, მოწინააღმდეგე გაანადგურეს და ორასი დიდების ქალაქი — სევასტოპოლი სავსებით გაათავისუფლეს გერმანელი ფაშისტი დამპყრობლებისაგან. განადგურებულია გერმანელთა დაჯგუფება ყირიმში და ყირიმი მთლიანად უაწყენდილია გერმანელი არამზადებისაგან. მოწინააღმდეგეს უდიდესი ზარალი მოუვიდა ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ.

1941 და 1942 წლებში საბჭოთა ჯარები უმაგალითო მძიმე პირობებში 250 დღეს იცავდნენ სევასტოპოლს. მრავალი თვის განმავლობაში ისინი იგერიებდნენ გერმანელ ფაშისტთა ჯარების გააფთრებულ იერიშს და უმძიმეს ზარალს აყენებდნენ მათ. 1942 წელს სევასტოპოლის იერიშის მარტო უკანასკნელ 25 დღეში გერმანელებმა დაკარგეს 150 ათასამდე ჯარისკაცი და ოფიცერი, მათგან სულ ცოტა 60 ათასი მოკლულთა სახით. 1944 წელს საბჭოთა ჯარებმა იერიშის სამი დღის განმავლობაში გაარღვიეს გერმანელთა ძლიერ გამაგრებული ხანგრძლივი თავდაცვა, რომელიც რკინაბეტონის თავდაცვით ნაგებობათა სამი ზოლისაგან შესდგებოდა და გაანადგურეს გერმანელ ფაშისტთა ჯარები, რომელნიც სევასტოპოლს იცავდნენ.

1941-1942 წლებში სევასტოპოლის ხანგრძლივი და გმირული დაცვით წითელმა არმიამ გვიჩვენა მამაცობისა და გულადობის უბადლო მაგალითი. 1944 წლის მაისში წითელმა არმიამ, სამ დღეში დაიკავა რა ციხე-სიმაგრე და სამხედრო-საზღვაო ბაზა სევასტოპოლი, ეროპოვა კიდევ ერთი სასახელო გამარჯვება.

* * *

ქალაქ სტანისლავის სამხრეთ-აღმოსავლეთით მოწინააღმდეგის ტანკებმა და ქვეითმა ჯარმა იერიში მოიტანეს. ორგზის საბჭოთა კავშირის გმირ ბოიკოს სტანკო ქვეგანაყოფის გვარდიელებმა ფლანგიდან ფიცლები დარტყეს გაჭფანტეს გერმანელები. დაზიანებულია 3 ტანკი და მოსპობილია ორ ასეულზე მეტი ჰიტლერელი.

* * *

უკრაინელ პარტიზანთა ეროროშილოვის სახელობისა და წითელი არმიის 26-ე წლისთავის სახელობის რაზმებმა 19-დან 24 აპრილამდე ლიანდაგიდან გადააგდეს მოწინააღმდეგის 4 სამხედრო ეშელონი. საბჭოთა პატრიოტებმა გზატეხილებზე და ყამირგზებზე აფეთქეს 6 სატვირთო ავტომანქანა, ჯავშნიანი მანქანა და რამდენიმე საზიდარი. მოკლულია 42 ჰიტლერელი.

* * *

ქალაქ იასი, რაიონში ჩვენმა ქვეგანაყოფებმა გაანადგურეს რუმინეთის მე-3 ქვეითი დივიზიის 1-ლი პოლკის 1 ბატალიონი. ბატალიონის ნაშთებმა და მისმა მეთაურმა მაიორმა იონ მარინმა იარაღი დაჰყარეს და ტყვედ დაგვნებდნენ. ტყვედ წამოყვანილმა მაიორმა იონ მარინმა განაცხადა: „მოწინააღმდეგის პოზიციებზე რომ მოვდიოდით, ოფიცრებისაგან მე გავიგონე, რომ განადგურებულია რუმინელთა ბევრი ნაწილი. მე მეგონა, ეს მეტად გაზვიადებული იყო. ვხედავდი, რომ მოწინააღმდეგის პოზიციებიდან დაბრუნებული ოფიცრები ჯერ კიდევ პანიკით შეპყრობილი არიან და გონს არ მოსულნ. ამის გამო მე ერთგვარი უნდობლობით ვეპყრობოდი მათს ნათქვამს რუმინეთის არმიის მძიმე ზარალის შესახებ. ახლა, მწარე გამოცდილების საფუძველზე, დავრწმუნდი, რომ ოფიცრებმა სიმართლე მითხრეს. ფრონტზე რომ მოვედი, ბრძანება მივიღე იერიში მიმეტანა რუსებზე და დამეკავებინა მათი პოზიციები. რუსების ტანკებმა პირდაპირ გაგვანადგურეს. 800 კაცში, რომლებიც მე ღამე მოწინავე პოზიციებზე მივიყვანე. ნაშუადღევის 1-ლი საათისათვის მხოლოდ 30 დარჩა. მთელი დანარჩენი ჯარისკაცები და ოფიცრები მოკლულ ან დაჭრილ იქნენ. მე ჯარისკაცთა დარჩენილ ჯგუფთან ერთად ტყვედ დაგნებდით“.

12,8 ჰექტარი ნახნავი თითო ბრიგადაზე ყოველდღიურად

სსრ კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისრის მთადგილემ ამხ. ბენდიქტოვმა მადლობა გამოუცხადა თეოდორე სალცევის სატრაქტორო ბრიგადას საუცხოო მიჩვენებლებისათვის საგაზაფხულო თესვის დღეებში. საუკეთესო ტრაქტორისტები დაჯილდოებულ არიან ძვირფასი საჩუქრებით და ნიშნით „სოციალისტური სოფლის მეურნეობის წარჩინებული“.

შარშან სალცევის ახალგაზრდულმა სატრაქტორო ბრიგადამ ჩკალოვის ოლქში პირველი ადგილი დიაკავა შეჯიბრებაში. მან რბილ ხვნაზე გადაუვანით 845 ჰექტარი დაამუშავა თვითეული პირობითი ტრაქტორით, ანასთან დაზოგა 3.362 კილოგრამი საწვავი.

როგორც კი თოვლი დადნა და ნიადაგი შეშრა, ბრიგადა გავიდა მინდვრად. ბრიგადა 12,8 ჰექტარს ამუშავებდა ყოველდღიურად თვითეული სტზ ტრაქტორით და ათი დღის განმავლობაში გადაჭარბებით შეასრულა თესვის დავალება. საუკეთესო ტრაქტორისტებმა 6-8 სამუშაო დღეში შეასრულეს თესვის გეგმები. 16 წლის ფედია ლოშკომა 8 დღის განმავლობაში დაამუშავა 75 ჰექტარი და დაზოგა 100 კილოგრამი საწვავი, ამავე ხნის განმავლობაში მარუსია აბალიხინამ 73 ჰექტარი დაამუშავა და 180 კილოგრამი საწვავი დაზოგა.

მუშაობაში ასეთ წარმატებას,—ამბობს ამხ. სალცევი,—ჩვენ „ომთავრესად ვივაწყვეთ ტექნიკური მოვლის გრაფიკის ზუსტი შესრულებით და ზოგიერთი გაუმჯობესებით, რამაც მნიშვნელოვნად გაადიდა ტრაქტორების სიმძლავრე და საშუალება მოგვცა თითო კორპუსი დაგვემატებინა გუთნებისათვის. ჩვენ ვცდილობთ, რომ ნიადაგის დამუშავება ვაწარმოოთ აგრეგატული წესით. მაგალითად, საგაზაფხულო ხვნის დროს ჩვენ ასე ვმუშაობთ: ტრაქტორს მივაბამთ აგრეგატს, რომელიც შესდგება 4-კორპუსიანი გუთნის, ორრიგოლიანი ფარცხის და 11 მწკრივიანი ცხვნის სათესი მანქანისაგან. ასეთი აგრეგატით მუშაობისას ჩვენ მიწას ვხნავთ 18-20 სანტიმეტრ სიღრმეზე, ვფარცხავთ ორკვალად და იმავე დროს ვთესავთ.

(საკდესი).

წარჩინებული რკინიგზელი
(„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტისაგან)

სამხედრო რკინიგზელთა შორის დიდად გაითქვა სახელი კასპის რაიონის სოფელ ხავათის მკვიდრმა შოთა გოგინაშვილმა. იგი ბეჯითად აუმჯობესებს თავის მეიმრულ ოსტატობას და ჩინებულად დაუფლებულია რამდენიმე სპეციალობას, სისტემატურად 290 პროცენტით ასრულებს დავალებებს. ამას წინათ გოგინაშვილი დაჯილდოეს სამკერდე ნიშნით „რკინიგზის ჯარების წარჩინებული“. იგი, როგორც სამაგალითო მეომარი, მიღებულია პარტიის კანდიდატად.

მეჯუვიამფრქვევე ანტონ მამუკაშვილის დაჯილდოება

მოსკოვი არმია, 5 მაისი (**„კომუნისტის“ საკ. კორ.**). ნ მსროლელ ნაწილში მსახურობს შესანიშნავი მეტყვიამფრქვევე ა. მამუკაშვილი. გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლებში მან მრავალჯერ გამოიჩინა მამაცობა და გმირობა, თავისი დაზგის ტყვიამფრქვევის გამოყენების საუკეთესო ცოდნა. მისმა ზუსტმა ჯერებმა ასობით ჰიტლერელი მოსპო.

ნაწილის მეთაურმა გუშინ ჯილდოები გადასცა იმ მეომრებს, რომლებმაც თავი ისახელეს. უმცროს სერჟანტ ანტონ მამუკაშვილს მან გადასცა ორი ჯილდო — დიდების III ხარისხის ორდენი და მედალი „მამაცობისათვის“.

ეი რა გვიამბო თავისი გმირობის შესახებ თვით სერჟანტმა მამუკაშვილმა: „დაზგის ტყვიამფრქვევს კარგად ვიცნობ. თვალდახუჭულს შემძლია მისი დაშლა და აწყობა. ზუსტად მახსოვს ყველა შეფერხება, რაც სროლის დროს შეიძლება მოხდეს. მე ვენდობი ტყვიამფრქვევს—ვიცი არ მიმტყუნებს. თუ იარაღს იცნობ და შეგიძლია ბრძოლაში მისი გამოყენება, გამარჯვება შენია. გერმანელები კოსტრიერიშზე გადმოვიდნენ, ისინი პირდაპირ ჩვენს ტყვიამფრქვევზე მოდიოდნენ, რომელიც ღამით სანგრებს იქით გადავიტანეთ და კარგად შეენიღბეთ. როცა მტრის ჯარისკაცები ას მეტრზე მოგვიახლოვდნენ, „მაქსიმე“ ალაპარაკდა. ფლანგის ცეცხლით ჩვენ მაშინვე მოვსპეთ 50-ზე მეტი ჰიტლერელი. გერმანელები ჩაწყნენ, მათ წამოდგომის საშუალება არ მივეცით. ამ დროს ჩვენი ბატალიონი შეტევაზე გადაქიდა. ჩვენი ცეცხლის საფარქვეშ მსროლელნი მიუახლოვდნენ გერმანელებს და თავს მოახვიეს ხელჩართული ბრძოლა. მტერი განადგურებულ იქნა. ოკუპაციულ გერმანელ ჯარისკაცებს დამიზნებითი ცეცხლი დავადევნე. ამ ბრძოლაში ზუსტი ცეცხლისათვის და ჩემს მიერ გამოჩენილი შეუპოვრობისათვის სარდლობამ დიდების III ხარისხის ორდენით დამაჯილდოვა“.

სევასტოპოლის კედლებთან

მოსკოვი არმია, 8 მაისი (**საკდესის სპეც. კორ.**). ზღვის ციცაბო ნაპირის ფლატეზე ხანგრძლივი საცეცხლე წერტილი. აქ არის იმ ნაწილთა სარდლობის სათვალთვალო პუნქტი, რომლებიც ამჟამად ბრძოლას ეწევიან სევასტოპოლისათვის. ირგვლივ მინდორია, ხოლო წინ—ნისლში, შავ აფეთქებანი ღრუბლებში გახვეული გმირი ქალაქი. სათოფურებში მოსჩანს ბუხტები, ნავსადგური.

შტაბის ოფიცრები ბრძოლას ხელმძღვანელობენ. ტელეფონის მავთულებით გადასცემენ აქედან განკარგულებას არტილერისტებს, მფრინავებს, ქვეითებს. აი ქალაქს უახლოვდება ავტომანქანების კოლონა, მოდის მტრის ქვეითი ჯარი. ჭოკლე განკარგულებანი ტელეფონით, და რამდენიმე წუთის შემდეგ იქ, სადაც კოლონა მოძრაობს, ჩნდება აფეთქებათა პირველი კვამლი. ეს გამიზნეაა. შემდეგ ერთბაშად იტყორცნება ჰაერში მტვრის, კვამლისა და ცეცხლის სულ უფრო და უფრო დიდი სვეტები. გახმაური მიწის სქელ ბოლქვებში, კვამლში ანელია. რისამე გარჩევა. ერთი რამ არის ნათელი—კოლონას თავს დაატყდა საარტილერიო ცეცხლი. არ ჩანან არც მანქანები, არც ადამიანები. საარტილერიო თავდასხმის შემდეგ ქალაქისაკენ უკვე მიდიან მოიერიშენი. აი გაიარეს ექვსეულებმა, ცხრეულებმა. მათ ერთი მიზანი აქვთ — მტერი სევასტოპოლშია, ნავმისადგომში. თვითმფრინავებს ხვდება მტრის საზენიტო არტილერია. გერმანელებმა მრავალ საზენიტო ბატარიას მოუყარეს თავი ქალაქის მისადგომებთან. მოიერიშენი კურსს არ იცვლიან. ისინი პირდაპირ მიდიან სამიზნეებისაკენ.

მტერს განუწყვეტლივ მძლავრად ურტყამს ჩვენი არტილერია. ზარბაზნები დგანან მთებში, დგანან ფარულ საარტილერიო პოზიციებზე, პირდაპირი დამიზნებით ესვრიან ქვეითი ჯარის ხაბრძოლო წყებებიდან. არტილერიის ყოველ ყალიბს თავისი ამოცანები, თავისი მიზნები აქვს.

სროლას აწარმოებენ ყველა ყალიბის ზარბაზნები. ჯავშანმტვრეველი ყუმბარები ანგრევენ მტრის ხანგრძლივ საცეცხლე წერტილს. მცირე ყალიბის ქვემეხები უშენენ ცოცხალ ძალას, საველე ქვემეხები თავიანი ცეცხლით, როგორც არტილერისტები ამბობენ, ხდიან ზედა საფარს, აშიშვლებენ ხანგრძლივ საცეცხლე წერტილ და, როცა ყუმბარები სხლტებიან ფოლადზე, ბეტონზე, ბრძოლაში ებმის მსხვილი ყალიბის არტილერია. ყუმბარები ზუსტად ხვდებიან მიზანში ბეტონს, ძელმწერ საცეცხლე წერტილ, და ინგრევა მტრის ნაგებობანი.

ალექსეევის არტილერისტებმა მოსპეს შვიდი დიდი და ძლიერი ხანგრძლივი საცეცხლე წერტი. ქალაქის ახლო მისადგომებზე დგანან სწრაფსროლი ზარბაზნები. ისინი გათვალისწინებულია ტანკებთან ბრძოლისათვის. და იქვე ახლოლად დადგმულია მსხვილყალიბიანი ზარბაზნები საცურაო საშუალებებთან საბრძოლველად. ერთი კარეპაი მტრის ჯარისკაცებიანად ჩასძირა გვარდიის ლეიტენანტ ტიტარენკოს ბატარიამ.

არტილერიის წინ ქვეითი ჯარია. მას უკავია ზღუდე მაღლობს იქით, მაგრამ სათვალთვალო პუნქტიდან მოსჩანს მისი პოზიციები სწარმოებს ბრძოლა. გერმანელები გადმოვიდნენ მოწინააღმდეგობას ეწევიან.

ერთ-ერთ უბანზე, მთის ფერდობზე, რომლებიც მიმართული არიან ჩვენი ჯარისკაცებისაკენ, გერმანელებს გაეკეთებინათ ქვეითებისაკენ, ბეტონებიანი ბუნკერები. ბეტონებზე ბრძოლა. ბრძოლა ბეტონებზე. ბეტონებიანი ბუნკერებიდან ბრძოლა. ბეტონებიანი ბუნკერებიდან ბრძოლა. ბეტონებიანი ბუნკერებიდან ბრძოლა. ბეტონებიანი ბუნკერებიდან ბრძოლა. ბეტონებიანი ბუნკერებიდან ბრძოლა. ბეტონებიანი ბუნკერებიდან ბრძოლა. ბეტონებიანი ბუნკერებიდან ბრძოლა. ბეტონებიანი ბუნკერებიდან ბრძოლა. ბეტონებიანი ბუნკერებიდან ბრძოლა. ბეტონებიანი ბუნკერებიდან ბრძოლა. ბეტონებიანი ბუნკერებიდან ბრძოლა. ბეტონებიანი ბუნკერებიდან ბრძოლა. ბეტონებიანი ბუნკერებიდან ბრძოლა. ბეტონებიანი ბუნკერებიდან ბრძოლა. ბეტონებიანი ბუნკერებიდან ბრძოლა. ბეტონებიანი ბუნკერებიდან ბრძოლა. ბეტონებიანი ბუნკერებიდან ბრძოლა. ბეტონებიანი ბუნკერებიდან ბრძოლა. ბეტონებიანი ბუნკერებიდან ბრძოლ

ვ. რ. მენჟინსკი

(გარდაცვალებიდან 10 წლისთავი).

...ოფილ რუდოლ-...ი მენჟინსკის, რო-...ლი ხსოვნას დღეს ...ბა საბჭოთა ხა-...ფაშისტ დამპყ-...ი წინააღმდეგ სა-...XIX საუკუნის ისტო-...ში, გამარჯვებათა ...ში, დიდი ...ი მიუძღვის ხა-...ი მტრების, ფაშის-...ძალების მოს-...ოგენტების ...ებისა და განად-...ის საქმეში. ვ. რ. ...ინსკი, ლენინ-...ლენინის პარტიის ...ული შვილი, ჩვე-...ელმწიფოს გამო-...ი მოღვაწე, დაი-...ი 1874 წელს რუსი ...ინტელიგენტის ოჯახ-...ბუკობიდანვე ჩა-...ი სამართლიანი ...ათვის ბრძოლაში ...ული თავისი სი-...ული მშრომელთა ...ეს შესწირა. ეს ...ი და გაბედუ-...ებრძოლი რუსე-...ი რევოლუციის გან-...ი გამოვიდა სა-...ეო ასპარეზზე ...ი თავდადა გამოი-...ველა საუკეთესო ...ება პროფესიო-...ი-რევოლუციონერი-...ი 1902 წელს ვ. რ. ...ინსკი — მტკიცე ...ული, ლენინის ...ებით იაროსლავლის სოციალ-დემოკრა-...ული კომიტეტის ერთ-ერთი ხელმძღვანე-...ი 1905 წლის რევოლუციის პიროლდინ-...ინსკი პარტიის ნება-სურვილით მუ-...ა სამხედრო ორგანიზაციებში და ბოლ-...ერი წოლილი რაზმების ერთი საუკეთე-...ებელი ბუტორთაგანი იყო.

...ის მთავრობის მიერ დევნილი ვ. მენ-...ი 1907 წელს იძულებული ხდება ემი-...ციაში წავიდეს, მაგრამ მას ერთი წუთი-...ც არ გაეწყვეტინა კავშირი რუსეთის ...ებელთან და ნაყოფიერ მუშაობას ...ა დიდი ლენინის ხელმძღვანელობით. ...ი წლის თებერვლის რევოლუციის შემ-...ვ მენჟინსკი რუსეთში ბრუნდება და ...ინის და სტალინის დავალებით უდიდეს ...ობას ეწევა რევოლუციონერ ჯარისკა-...ბ შორის. ამ ხანებში მისი რედაქტორობით ...დოდა გაზეთი „სოლდატი", რომელიც ...ორგელივ იკრებდა ჯარისკაცთა საუკე-...ნაწილს. მენჟინსკი მუდამ ლენინთან ...ტალინთან იყო ოქტომბრის დიდი სოცია-...ური რევოლუციის მომზადებისა და გა-...ების და ოქტომბრის მონაპოვართა დაცვ-...ის ბრძოლაში. იგი შეიყვა პირველი ...ოა მთავრობის შემადგენლობაში, რო-...ელ ფინანსთა სახალხო კომისარი, ხოლო ...ელ გენერალურ კონსულად გაიგზავ-...ა ბერლინში. 1919 წლიდან, ვ. რ. ლენინის ...ადებით, ვ. რ. მენჟინსკი საბჭოთა დაზ-...ვის ორგანოებში მუშაობდა და ფ. ე. ...ინსკისთან ერთად შობრალებლად იბრ-...ა ხალხის მტრების წინააღმდეგ.

მენჟინსკი მთელ თავის ენერგიას ახმარ-...და საბჭოთა სახელმწიფოს გაძლიერების საქ-...მეს. საბჭოთა დაზვერვის ორგანოებში ხანგრ-...ძლივი მუშაობით (1926 წლიდან მენჟინსკი სსრ კავშირის გაერთიანებული პოლიტიკური სამმართველოს თავმჯდომარედ დაინიშნა), მან დაიმსახურა ხალხის უსაზღვრო სიყვარული, ჩვენი სამშობლოს მტრებს, რომლებსაც რისხვად ევლინებოდა საბჭოთა დაზვერვა, სძულდათ ვ. მენჟინსკი. ფაშისტი აგენტების მიერ დაჭირავებულმა ტროცკისტ-ბუხარინელ-მა გარეწრებმა 1934 წლის 10 მაისს სიცოცხლე მოუსწრაფეს ლენინ-სტალინის პარტიის ერთგულ შვილს ვ. მენჟინსკის.

საბჭოთა ხალხმა, ჩვენმა სახელოვანმა დაზვერვამ დიდი სტალინის უახლესი თანამებრძოლის ამხანაგ ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას ხელმძღვანელობით ამხილა და ძირშივე ამოსწვა ფაშისტი არამზადების დაჭირავებულ აგენტთა ბუდეები. ჰიტლერელი ავაზაკები ცდილობდნენ ტროცკისტ-ბუხარინელი აგენტების საშუალებით ძირი გამოეთხარათ ჩვენი სამშობლოს ძლიერებისათვის. ეს ვარაუდი ჩაუფუშა ვათ საბჭოთა დაზვერვამ. ტროცკისტ-ბუხარინელი ბანდიტების განადგურებამ კიდევ უფრო განამტკიცა და გააძლიერა ჩვენი დიადი სამშობლო.

ახლა, როცა გამარჯვება გვიახლოვდება, როცა გმირი წითელი არმია ბრძენი სტალინის ხელმძღვანელობით წარმატებით მიიწევს წინ, ჩვენი ხალხი კმაყოფილებით იგონებს იმ ადამიანებს, რომელთაც დიდი ღვაწლი მიუძღვით საბჭოთა სამშობლოს გაძლიერებაში. აქ ადამიანთა შორის საპატიო ადგილი უჭირავს ვ. რ. მენჟინსკის.

...ეტები

...ეროფორიაზე საბჭოთა ჯარების შესვლის შემდეგ საბჭოთა მთავრობისა და ...ეროფორიის ადმინისტრაციის ...ობის შესახებ საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის შეთანხმების ...ის გამო

...ონდონი, 8 მაისი (საკადესი). როგორც ...ონის რადიო გადმოგვცემს, ჩეხოსლ-...ის მთავრობის საგარეო საქმეთა მინის-...ი მოვალეობის შემასრულებელმა გუბერტ ...ემ საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის შე-...ების დადებასთან დაკავშირებით დღეს ...ა:

...ელი არმია ამთავრებს მზადებას თავი-...ეასრული გადაწყვეტი შეტევისათვის. ...ება უნდა შეასრულონ თავიანთი მოვა-...ა საკუთარი ქვეყნისა და თავიანთი მო-...ების წინაშე, და ყოველნაირად დაე-...ონ რუსეთის ჯარებს. რიპკამ ღრმა, ...ა-...ელება გამოსთქვა პაქტის ხელმოწერისას ჩეხების სურვილებისა და ჩეხური კანონმდებლობაში საბჭოთა მთავრობის დამოკიდებულების გამო.

ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა მასარიკმა, რომელიც ამჟამად ფილადელფიაში იმყოფება, განაცხადა, რომ ამ ომის უკანასკნელი თავის დამთავრებამდე გერმანიის ბედი უნდა იმყოფებოდეს იმ გენერლების ხელში, რომლებიც სარდლობენ მოკავშირეთა ჯარებს—ეიზენჰაუერისა და მონტგომერის და მათი შესანიშნავი რუსი მოკავშირის ხელში. ამ ომმა ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოუღოს ბოლო ახალი აგრესიის ყოველგვარ წარმოშობას.

მღელვარება შვეიცარიაში

...ოკოლმი, 9 მაისი (საკადესი). შვედუ-...ი გაზეთი „აფტონ-ტიდნინგენი" იუწყება, ...ი 4 მაისს შტეტინში (გერმანია) დიდი ...ელვარება მოხდა. დარბეულ იქნა 20 მაღა-...ზია. ფიქრობენ, რომ მოსახლეობის ეს გამო-...სვლები მოწყობილია არალეგალური ორგანი-...ზაციის მიერ.

გერმანიის ავიაციის ზარალი ბერლინსა და ბრაუნშვაიგზე ამერიკის ბომბდამშენთა თავდასხმისას

...ონდონი, 8 მაისი (საკადესი). რეიტე-...ის საგენტო იუწყება, რომ ბერლინსა და ...ნშვაიგზე ამერიკის ბომბდამშენთა დღე-...ვანდელი თავდასხმისას ჩამოგდებულ იქნა გერმანელთა 119 თვითმფრინავი. ამერიკის ავიაციამ 49 მანქანა დაკარგა.

ბრძოლები იუგოსლავიაში

...ანეგა, 9 მაისი (საკადესი). როგორც ...ოსლავიიდან იუწყებიან, სერბიაში გა-...ებული ბრძოლები მიმდინარეობს გერ-...ელთა, ნედიჩელთა და მიხაილოვიჩის ჩეტ-...ა დიდი ძალების წინააღმდეგ. ჩეტნიკებ-...ი ეცა-ვალიევოს უბანზე თავი მოუყარეს ...ბის ყველა რაიონიდან გამოყვანილ ძა-...ს. ხელი იგდეს მიხაილოვიჩის ბრძანება, ...ლთაც იგი მოუწოდებს ჩეტნიკებს იბრ-...ონ გერმანელთა და ბულგარელთა საოკუ-...ო ჯარების მხარეზე იუგოსლავიის სა-...ო-განმათავისუფლებელი არმიის წინააღ-...ეგ.

...ინისავლეთ ბოსნიაში მოწინააღმდეგე გა-...ბს შეტევას ფრონტის ყველა უბანზე,

მოკავშირეთა ავიაციის მოქმედება

...ონდონი, 9 მაისი (საკადესი). ოფიციალ-...ად იუწყებიან, რომ 8 მაისს ღამით ინ-...ლის მოვალეობის შემასრულებელმა გუბერტ ...ემ დაბომბა საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის საზ-...ვრის ... ...